LEPL TBILISI Z.PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE
Digitally signed by LEPL TBILISI Z.PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2022.03.10 16:39:33 +04'00'

ხელშეკრულება № ბ-170-ოტელო-26
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბადრი მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ , ი/მ ლია სალთხუციშვილი (მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი) (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“)

საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “ (შემდგომში ხელშეკრულება) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება , რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ , მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით , რომლებზეც ლაპარაკია ხელშეკრულებაში.
1.2 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე , კვირა, თვე.
1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალიწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია - საბალეტო სპექტაკლის „ოტელო“ დადგმისთვის საჭირო სპეციალური ტანსაცმლის შესყიდვა დანართი 1-ს შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. CPV 18410000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება - ლარში.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **41200** (ორმოცდაერთი ათას ორასი) ლარს.
3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება 2022 წლის 20 აპრილის ჩათვლით;
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №25

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი 1-ის შესაბამისად.
ბ) განიხილოს შემსიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლისა და მომსახურების ხარისხი აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს არსებული ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.
6.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას შემსყიდველისაგან დამოუკიდებლად გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საქონლის შეკეთება ან\და ახალი უნაკლო საქონლით ჩანაცვლება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
7.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებისაგან.
7.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრის სადადგმო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამირან ანანიაშვილი.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრის თეატრის სადადგმო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამირან ანანიაშვილი და საწყობის გამგე გიორგი გალუაშვილი.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება თეატრის **სახელმწიფო ბიუჯეტის** (საბალეტო ქვეპროგრამა) ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში - ლარი.
9.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირებების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ხელშეკრულების პირობები.
11.2 მხარეებს ხელშეკრულების პირობების ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხლშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
14.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმეტის თავში მითითებული თარღიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 ივნისის ჩათვლით;

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
16.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან\და მიმწოდებლის შეცდომებსა და და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთავლისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემსირებით და სხვა.
16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”
სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის, 25
ს/კ 203853954

სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
ბადრი მაისურაძე

„მიმწოდებელი”
ი/მ ლია სალთხუციშვილი
ს.კ. 01011027777
მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილი ქ. 2კვ კ4
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE16 TB79 3604 5061 6000 02

ლია სალთხუციშვილი

დანართი 1

CPV კოდები	№	დასახელება	განზ. ერთ.	რ-ბა	ერთ. ფასი	სულ. ფასი
18410000	1	კოსტუმი "ქუჩის მოცეკვავე" - გოგო	ცალი	14	1800	25200
18410000	2	კოსტუმი "ქუჩის მოცეკვავე" - ბიჭი	ცალი	14	1100	15400
18410000	3	კოსტუმი "ქუჩის მოცეკვავე" - ბიჭი (სოლისტი)	ცალი	2	300	600
სულ: ორმოდაერთი ათას ორასი ლარი						41200,00